კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
2011 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

საიდან დავიწყეთ	4
რა გვინდოდა	6
გადადგმული ნაბიჯები	7
რა გავაკეთეთ	9
CPV კოდები	27
შავი სია	28
დავების საბჭო	29
მონიტორინგი და კომუნიკაცია	31
კონკურსი	32
საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ	33
რა შედეგი მივიღეთ	34
როგორ შეგვაფასეს	36

2011 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მასშტაბური რეფორმების კუთხით. საქართველო მხოლოდ მეორე ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც სრულიად გაუქმდა ე.წ. ქაღალდის ტენდერები და უკიდურესად მოკლე ვადაში დაინერგა 100% ელექტრონული ტენდერების სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის არსებობის ისტორია ჯერ ძალიან მოკლეა, უკვე გამოიკვეთა სისტემის უდიდესი როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო სახსრების უპრეცედენტოდ გამჭვირვალე ხარჯვის უზრუნველყოფისა და მათი მნიშვნელოვანი ეკონომიის კუთხით. სისტემისთვის დამახასიათებელმა არადასკრიმინაციულმა და სამართლიანმა სატენდერო პროცედურებმა ხელი შეუწყო კონკურენციას და პრაქტიკულად გამორიცხა კორუფციის შემთხვევები. 2011 წლის მონაცემები საფუძველს გვაძლევს ოპტიმისტურად განვეწყოთ და მეტი ენთუზიაზმითა და მონდომებით გავაგრძელოთ დაწყებული რეფორმები. ჩვენი მიზანია, მუდმივი სრულყოფის გზით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და მისაბაძი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბება.

საიდან დავიწყეთ

საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა 2010 წლის 1 დეკემბრიდან ჩამოყალიბდა. მანამდე, არც თუ ისე შორეულ წარსულში, სისტემა ჯერ კიდევ აღქმული იყო, როგორც ძველი დროის მძიმე მემკვიდრეობა.

- სათანადო გამჭვირვალობის არქონის გამო, ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მიდგომებს;
- კორუფციის ფაქტები იშვიათობას არ წარმოადგენდა;
- ადგილი ჰქონდა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ ფავორიტიზმს და სხვა არაჯანსაღ პრაქტიკას;
- საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო უნდობლობა შესყიდვების სისტემისადმი;
- ტენდერების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო;
- მაღალი და გაუმართლებელი იყო ტენდერებში მონაწილეობის ხარჯი;
- დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა შესყიდვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მაღალი იყო ტენდერში მონაწილეობისთვის დაწესებული მოსაკრებელი (200 ლარი);
- შეზღუდული იყო კონკურენცია.

ყველა სატენდერო პროცედურა ქაღალდის საშუალებით ხორციელდებოდა. შედეგად, 2011 წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) დაახლოებით 20 მილიონი ქაღალდის დოკუმენტი დაგროვდა, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება და ანალიზი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ქაღალდის ტენდერებში მონაწილეობა დაკავშირებული იყო უამრავი დოკუმენტის შეგროვებასთან, მიმწოდებლების მრავალჯერად ვიზიტებთან შესაბამის შემსყიდველ ორგანიზაციაში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. სავალდებულო იყო სხვადასხვა სახის ისეთი დოკუმენტების წარდგენა, რაც დამატებით ადმინისტრაციულ ბარიერებს ქმნიდა. ტენდერში გამარჯვებული პირის გარდა, სხვა მონაწილეებისთვის ეს დოკუმენტები, ფაქტობრივად, გამოუსადეგარი ხდებოდა და დროისა და მატერიალური რესურსების ფუჭ ხარჯვას წარმოადგენდა.

არ შეიძლება არ ვახსენოთ გეოგრაფიული უთანასწორობის პრობლემა. რეგიონული კომპანიები არახელსაყრელ პოზიციაში იყვნენ თბილისში მყოფ კომპანიებთან შედარებით, რადგან შემსყიდველი ორგანიზაციების დიდი ნაწილი დედაქალაქში მდებარეობდა და რეგიონალურ კომპანიებს მინიმუმ ოთხი ფიზიკური ვიზიტი უწევდათ თბილისში, მხოლოდ იმისთვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ ტენდერში გამარჯვების ყოველგვარი გარანტიის გარეშე.

მსოფლიო ბანკის 2008 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მთლიანობაში შეფასდა, როგორც კორუფციის „მაღალი რისკის მატარებელი სისტემა“. ყოველივე ზემოთქმულისა და კიდევ სხვა ფაქტორების გამო იმდროინდელი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მიჩნეული იყო როგორც რეფორმატორი ქვეყნისთვის შეუფერებელი და შეუსაბამო.

რა გვინდოდა

რეფორმა ხუთი მარტივი მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა:

- გამჭვირვალობა

აუცილებელი იყო სახელმწიფო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაცია, თუ რაში და რა ოდენობით იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

- არადისკრიმინაციულობა

საჭირო იყო ისეთი პროცედურების შემოღება, რომელიც ყველა მიმწოდებელს თანაბარ პირობებში ჩააყენებდა შესყიდვებში მონაწილეობის დროს და გამორიცხავდა დისკრიმინაციული მიდგომის შესაძლებლობას. ეს საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგან არსებობდა სხვადასხვა სახის ფაქტორები, მაგალითად გეოგრაფიული ფაქტორი, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა იმ კომპანიებს, რომლებიც შედარებით ახლოს მდებარეობდნენ შემსყიდველი ორგანიზაციის ადგილსამყოფელთან.

- სამართლიანი შერჩევა

ასევე რიგ შემთხვევებში ამა თუ იმ ფაქტორის გამო, უსამართლოდ ხდებოდა მიმწოდებლების დისკვალიფიკაცია ტენდერიდან მათთვის დაბალი ქულის დაწერის გზით, რასაც ხელს უწყობდა შეფასების საკმაოდ სუბიექტური და არაგამჭვირვალე სისტემა.

- გამარტივებული პროცედურები

ქაღალდის ტენდერებში მონაწილეობა საკმაოდ რთულ პროცედურებთან, დროისა და მატერიალური რესურსების ხარჯვასთან იყო დაკავშირებული, რაც ტენდერში მონაწილეობის სურვილს უკარგავდა არაერთ კომპანიას. პროცედურების გამარტივება და ადმინისტრაციული ბარიერების მოსპობა აუცილებელი იყო.

- ქაღალდებისგან თავის დაღწევა

სააგენტოში წარმოდგენილი ქაღალდის დოკუმენტაცია არა მხოლოდ არაეფექტური და არასანდო ინფორმაციის წყარო იყო, არამედ ამ დოკუმენტაციის დამუშავება და საჭირო ინფორმაციის მიღება საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესი გახლდათ. პრობლემატური იყო ასევე ქაღალდზე მიღებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა (მოძიება, დამუშავება, ასლის გადაღება და ა.შ)

გადადგმული ნაბიჯები

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შექმნა, დანერგვა და მართვა სააგენტოს დაევალა, რომელმაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერით უზრუნველყო სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის პროგრამული შემუშავება.

განიხილებოდა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვის ორი მოდელი: პირველი ითვალისწინებდა უკვე არსებული, ძვირადღირებული უცხოური მოდელის დანერგვას, რომელიც ელექტრონული ტენდერების ეტაპობრივად დანერგვას გულისხმობდა, ხოლო მეორე გულისხმობდა საკუთარი ძალებით სისტემის უკიდურესად მოკლე ვადაში და მინიმალური ფინასური დანახარჯებით შექნასა და დანერგვას, რომელიც ზუსტად მოერგებოდა საქართველოს დინამიურად რეფორმირებად ლიბერალურ ბიზნეს გარემოს. უპირატესობა მეორე ვარიანტს მიენიჭა, რის შედეგადაც წელიწადზე ნაკლებ დროში შესაძლებელი გახდა „ქაღალდის ტენდერების“ სრულად გაუქმება და სახელმწიფო ტენდერების მხოლოდ e-სისტემის მეშვეობით განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ხარჯები



სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი eლექტრონული სისტემა (შემდგომში - e-სისტემა) წელიწადზე ნაკლებ დროში შეიქმნა - რეფორმა 2010 წლის იანვარში დაიწყო, ხოლო ამავე წლის ოქტომბერში პირველი eლექტრონული ტენდერი გამოცხადდა. 2010 წლის პირველი დეკემბრიდან ქაღალდის ტენდერები გაუქმდა და ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდება.

რეფორმის ფაზები:

- იანვარი 2010. საკანონმდებლო ცვლილებები და სისტემის ჩამოყალიბება
- აგვისტო 2010. სისტემის გაშვება სატესტო რეჟიმში
- აგვისტო-ოქტომბერი 2010. ტრენინგები და სემინარები 1000-ზე მეტი დაინტერესებული მომხმარებლისათვის
- ოქტომბერი 2010. პირველი e-ტენდერი
- ნოემბერი 2010. სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენებზე
- დეკემბერი 2010. ქაღალდის ტენდერების სრულად გაუქმება
- იანვარი 2011. შეიქმნა ელექტრონული გადახდების სისტემა
- სექტემბერი 2011. 10 ათასი რეგისტრირებული მომხმარებელი
- ოქტომბერი 2011. 160 მილიონი ლარის ეკონომია
- დეკემბერი 2011. ორენოვანი სისტემა (ქართულ/ინგლისური)

რა გავაკეთეთ

e-სისტემა — ყველა ყველაფერს ხედავს

2011 წელს e-სისტემაში გამოცხადებული ტენდერების შედეგად დადებული 17 717 ხელშეკრულების საერთო ღირებულებამ 1 156 191 457 ლარი შეადგინა.

e-სისტემა ორენოვანია და მასში განთავსებული მონაცემები ხელმისაწვდომია სისტემის ნებისმიერი მომხმარებლისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე. სისტემის მთავარი უპირატესობა მისი სიმარტივე და გამჭვირვალობაა. e-სისტემაში რეგისტრაცია facebook-ში რეგისტრაციაზე მარტივია. დედამიწის ნებიმიერი კუთხიდან ტენდერის გამოსაცხადებლად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერია საჭირო. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია e-სისტემაში ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ეს ინფორმაცია მოიცავს:

- შესყიდვების წლიური გეგმები
- სატენდერო განცხადება
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება
- სატენდერო დოკუმენტაცია და მისი ცვლილებები და დაზუსტებები
- მიმწოდებლების სატენდერო წინადადება და წინადადების ფასი
- სატენდერო კომისსის სხდომის ოქმები და მიმწოდებელთან გაცვლილი კორესპონდენცია
- ხელშეკრულებები და მათი ცვლილებები
- ინფორმაცია განხორციელებულ გადახდებზე

გრაფიკულად სატენდერო პროცედურები უემდეგნაირად გამოიყურება



ქაღალდის ტენდერების დროს პრობლემა იყო ზუსტი ინფორმაციის მიღება შემსყიდველი ორგანიზაციების შესახებ. e-სისტემამ შესაძლებელი გახადა შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების შესახებ მონაცემების ელექტრონულად მიღება. დღეს ჩვენ ზუსტად ვიცით, თუ რამდენი მომხმარებელია e-სისტემაში.



2011 წლის ბოლოსთვის e-სისტემაში უკვე რეგისტრირებული იყო 10 417 მომხმარებელი: აქედან 3052 შემსყიდველი ორგანიზაცია და 7365 მიმწოდებელი. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, გადასახადის გადამხდელი (მოქმედი) მეწარმეების რა ოდენობა არის e-სისტემაში მიმწოდებლად დარეგისტრირებული.

გრაფიკი 2



e-სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებელების 66% შპს-ებია. სწორედ მათზე მოდის ელექტრონული ტენდერების მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების 77%, რაც მათ მაღალ სამეწარმეო აქტივობაზე მიუთითებს.

გრაფიკი 3

შპს-ებისა და სხვა მიმწოდებლების ხელშეკრულების რაოდენობრივი სტატისტიკა



- სხვა მიმწოდებლების რაოდენობა
- შპს-ების ხელშეკრულების რაოდენობა

გრაფიკი 4

შპს-ებისა და სხვა მიმწოდებლების რაოდენობრივი სტატისტიკა



- სხვა მიმწოდებლების რაოდენობა
- შპს-ების რაოდენობა

გრაფიკი 5

10 ყველაზე აქტიური მიმწოდებელი



- დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა

№	მიმწოდებლები	ხელშეკ. რაოდენ.	ტენდერ. რაოდენ.	ხელშეკ. თანხა
1	თეგეტა მოტორსი	338	400	9,047,208
2	ვისოლ პეტროლიუმჯორჯია	267	298	27,424,737
3	სილქნეტი	189	263	3,300,511
4	ახალი მთვარე	129	223	4,232,136
5	ულტრა	127	214	1,399,697
6	ბონტო	115	210	2,155,988
7	ესაბი	102	193	4,229,997
8	შ.პ.ს. "ალტა"	97	155	1,947,155
9	დიო	87	96	1,343,428
10	კოლარტ-M	78	95	723,044
		1529	**2147**	**55,803,901**

ტენდერის გამოცხადებისათვის სავალდებულო მონეტარული ზღვარი 20-ჯერ შემცირდა საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას, ხოლო 40-ჯერ სამუშაოების შესყიდვისას და ამჟამად შეადგენს 5 ათას ლარს. 4-ჯერ შემცირდა ტენდერში მონაწილეობის საფასური და 50 ლარი გახდა. შედეგად, წინა წელთან შედარებით 15-ჯერ გაიზარდა ტენდერების რაოდენობა.

გრაფიკი 6

ქაღალდის ტენდერების რაოდენობისა და ელექტრონული ტენდერების რაოდენობის შედარება



ყველაზე მეტი აქტიურობა მარტის თვეში დაფიქსირდა, ყველაზე ცოტა ტენდერი კი ოქტომბერში გამოცხადდა, თუმცა ოქტომბერში გამოცხადებული ტენდერების რიცხვი თითქმის უტოლდება წინა წელს ქაღალდზე ჩატარებული ტენდერების მთლიან რაოდენობას.

გრაფიკი 7

ტენდერების რაოდენობა თვეების მიხედვით



e-ტენდერები ერთნაირი წარმატებით ცხადდება ყველა ტიპის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, თუმცა განსხვავებული რაოდენობითა და ეკონომიის განსხვავებული მაჩვენებლებით.

ყველაზე მეტი e-ტენდერი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გამოცხადდა.

გრაფიკი 8

ტენდერების რაოდენობა სამართლებრივი ფორმების მიხედვით



სამართლებრივი ფორმა:

130 - სახელმწიფო ორგანო
140 - ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო
145 - ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო
150 - 50% მეტი სახ. წილ. საწარმო
180 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
190 - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ)

	130	140	145	150	180	190	ჯამი
12.2010	89	16	238	86	133	35	597
1.2011	561	109	543	302	657	395	2567
2.2011	654	98	684	508	1052	317	3313
3.2011	818	111	695	560	1122	206	3512
4.2011	582	70	580	419	848	158	2657
5.2011	481	68	673	399	835	137	2593
6.2011	554	56	714	382	1004	126	2836
7.2011	484	79	689	280	1060	131	2723
8.2011	423	56	731	312	975	177	2674
9.2011	414	55	698	268	823	216	2474
10.2011	338	61	655	297	817	181	2349
11.2011	412	88	868	312	954	196	2830
12.2011	581	55	693	234	744	214	2521
	6391	**922**	**8461**	**4359**	**11024**	**2489**	**33646**

ყველაზე დიდი ეკონომია სახელმწიფო ორგანოებმა მიიღეს e-ტენდერების შედეგად, ხოლო ყველაზე მცირე ეკონომია არასამეწარმეო არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა.

გრაფიკი 9
ეკონომია სამართლებრივი ფორმების მიხედვით



სამართლებრივი ფორმა:
130 - სახელმწიფო ორგანო
140 - ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო
145 - ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო
150 - 50% მეტი სახ. წილ. საწარმო
180 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
190 - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ)

	130	140	145	150	180	190	ჯამი
12.2010	21,128	7,131	270,765	141,105	106,801	21,655	568,585
1.2011	922,171	55,804	1,154,607	686,293	704,316	16,828	3,540,019
2.2011	3,672,162	267,971	2,729,663	887,469	2,291,776	427,409	10,276,450
3.2011	6,722,097	77,807	4,063,790	5,196,835	3,722,882	124,105	19,907,516
4.2011	4,966,896	65,658	5,366,304	5,986,268	2,101,252	58,197	18,544,575
5.2011	14,927,835	1,100,940	8,964,364	1,130,317	11,954,731	19,795	38,097,982
6.2011	9,452,557	183,935	6,296,339	196,581	3,085,979	16,901	19,232,292
7.2011	5,874,837	1,071,143	4,841,779	813,625	2,944,166	44,405	15,589,955
8.2011	4,853,167	283,274	4,554,382	846,010	3,712,732	152,264	14,401,829
9.2011	2,509,367	1,580,930	4,483,453	719,777	3,298,466	223,383	12,815,376
10.2011	1,221,353	38,709	5,518,340	353,295	3,025,536	41,622	10,198,855
11.2011	5,177,844	62,119	2,324,155	823,118	1,469,330	79,756	9,936,322
12.2011	4,571,396	258,152	4,893,839	703,425	7,589,996	360,561	18,377,369
	64,892,810	**5,053,573**	**55,461,780**	**18,484,118**	**46,007,963**	**1,586,881**	**191,487,125**

ქვემოთ მოცემულია 10 შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლებმაც ყველაზე მეტი თანხა დაზოგეს საკუთარი ბიუჯეტიდან.

გრაფიკი 10

ტოპ 10 შემსყიდველი ეკონომიის მიხედვით



№	შესყიდვის კატეგორია	ეკონომია	ჯამური ღირებულება	ტენდერის რაოდენობა
1	ქ. თბილისის მერია	23,163,207	207,288,581	528
2	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	22,313,427	138,175,707	303
3	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	9,714,388	87,455,417	208
4	საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი	9,247,077	31,756,919	31
5	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	9,167,867	71,851,213	224
6	სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"	8,498,152	27,502,873	117
7	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	6,519,105	19,880,004	98
8	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	6,066,262	18,790,327	49
9	შემოსავლების სამსახური	5,109,530	34,754,985	454
10	ქალაქ ქუთაისის მერია	4,692,872	24,164,844	242
		104,491,887	**661,620,870**	**2,254**

შემდგომ გრაფიკში ასახულია ათი ტენდერი, სადაც ყველაზე მაღალი ეკონომია დაფიქსირდა.

გრაფიკი 11
ტოპ 10 ტენდერი მაქსიმალური ეკონომიის მიხედვით



№	ტენდერის №	შემსყიდველი ორგანიზაცია	ეკონომია	ტენდ.სავარ. ღირებულება	ტენდერ. ფაქტ. ფასი
1	SPA110006970	საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი	5,337,200.00	9,086,000	3,748,800.00
2	SPA110029369	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	5,312,873.00	13,126,133	7,813,260.00
3	SPA110005285	სს "საქართველოს წავთობისა და გაზის კორპორაცია"	5,223,788.10	18,000,000	12,776,211.90
4	SPA110017377	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	3,227,886.00	4,750,000	1,522,114.00
5	SPA110013672	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,210,005.00	5,502,800	2,292,795.00
6	SPA110022195	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	3,139,600.00	4,700,000	1,560,400.00
7	SPA110004446	სს "საქართველოს წავთობისა და გაზის კორპორაცია"	2,709,426.00	6,000,000	3,290,574.00
8	SPA110021890	თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია	2,500,001.00	16,000,000	13,499,999.00
9	SPA110020404	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	2,096,808.00	11,066,808	8,970,000.00
10	SPA110011407	ქ. თბილისის მერია	1,701,001.00	5,400,000	3,698,999.00
			34,458,588.10	**93,631,741.00**	**59,173,152.90**

e-სისტემის მეშვეობით 2011 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 191,487,127 ლარი დაიზოგა. ეკონომია შესყვიდვის სავარაუდო ღირებულებასა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასს შორის სხვაობით მიიღება.

გრაფიკი 12



ხელშეკ. თარიღი	სავ. ღირებ.	ფაქტ. ფასი	ეკონომია	%
12.2010	6,354,053	5,785,468	568,585	9
1.2011	29,758,291	26,218,271	3,540,020	12
2.2011	80,309,577	70,033,127	10,276,450	13
3.2011	141,974,538	122,067,022	19,907,516	14
4.2011	119,595,934	101,051,358	18,544,576	16
5.2011	186,567,768	148,469,786	38,097,982	20
6.2011	133,543,594	114,311,302	19,232,292	14
7.2011	93,988,461	78,398,506	15,589,955	17
8.2011	120,641,698	106,239,869	14,401,829	12
9.2011	97,244,031	84,428,655	12,815,376	13
10.2011	84,832,849	74,633,994	10,198,855	12
11.2011	71,863,446	61,927,124	9,936,322	14
12.2011	181,004,344	162,626,975	18,377,369	10
	1,347,678,584	**1,156,191,457**	**191,487,127**	

დაზოგილი თანხების 40%-ზე მეტი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ e-ტენდერებზე მოდის. საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომია დაფიქსირდა ფარმაცევტული ნაწარმისა და სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის შემთხვევებში.

გრაფიკი 13

ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია მაქსიმალური ეკონომიის მიხედვით



№	შესყიდვის კატეგორია		სავ. ღირებულება	ხელ. ღირებულება	ეკონომია	%
1	CPV 45200000	სამუშაოები მთლიანი ან წაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	364,105,964	308,745,94 4.1	55,360,019.9	15
2	CPV 45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები	75,510,244	58,913,726	16,596,518	22
3	CPV 33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	35,872,930	25,930,331	9,942,599	28
4	CPV 66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	60,199,860	52,207,087	7,992,773	13
5	CPV 34100000	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები	41,542,792	35,351,370	6,191,422	15
6	CPV 45300000	სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები	36,373,132	30,845,386	5,527,746	15
7	CPV 33100000	სამედიცინო მოწყობილობები	12,673,725	8,012,200	4,661,525	37
8	CPV 77300000	მებაღეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	15,520,565	11,054,877 .64	4,465,687.36	29
9	CPV 09100000	საწვავი	96,997,042	94,014,748	2,982,294	3
10	CPV 39100000	ავეჯი	17,439,456	15,243,999	2,1954,57	13
			756,235,710	**640,319,668,74**	**115,916,041,026**	

ერთ ტენდერში საშუალო მონაწილეობის მიხედვით სადაზღვევო-საპენსიო მომსახურებების შესყიდვა გამოირჩევა, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. მეორე ადგილზეა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ასახულია შესყიდვის ის ობიექტები, სადაც ყველაზე მაღალი საშუალო მონაწილეობა ფიქსირდება, შესაბამისად სწორედ ამ სფეროებშია ყველაზე მაღალი კონკურენცია.



გრაფიკი 14

ტოპ 10 შესყიდვის კატეგორია მაქსიმალური საშუალო მონაწილეობის მიხედვით

№	შესყიდვის კატეგორია		ტენდერის რაოდენობა	მონაწ. რაოდენობა	საშ. მონაწილეთა ეკონ%	რაოდენობა
1	CPV 66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	137	350	2.55	13
2	CPV 45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები	855	2079	2.43	22
3	CPV 39800000	საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები	57	136	2.39	22
4	CPV 48700000	პროგრამული პაკეტების უტილიტები/მომსახურე პროგრამები	22	51	2.32	31
5	CPV 77300000	მებაღჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები	61	141	2.31	29
6	CPV 33700000	პირადი ჰიგიენის პროდუქტები	56	129	2.30	28
7	CPV 22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	120	265	2.21	20
8	CPV 38300000	საზომი ხელსაწყოები	11	24	2.18	11
9	CPV 90900000	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	121	262	2.17	20
10	CPV 79200000	საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები	108	231	2.14	22
			1548			

e-ტენდერის მეშვეობით ყველაზე მეტი ხელშეკრულება (3 ათასამდე) დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და მათმა ღირებულებამ 400 მილიონ ლარამდე შეადგინა.

გრაფიკი 15

შესყიდვის კატეგორიები რომლებზეც ყველაზე მეტი ხელშეკრულება დაიდოტ



№	შესყიდვის კატეგორია		ხელ. ღირებულება	ხელ. რაოდენობა	ეკონომია	%
1	CPV 45200000	სამუშაოები მთლიანი ან წაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	308,745,944.1	1527	55,360,019.9	15
2	CPV 45400000	შენობის მოწყობის სამუშაოები	58,913,726	843	16,596,518	22
3	CPV 30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	17,599,848.92	830	2,100,030.08	11
4	CPV 30100000	საოფისე მაწქაწები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	7,313,314	568	1,338,017	15
5	CPV 39100000	ავეჯი	15,243,999	556	2,195,457	13
6	CPV 45300000	სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები	30,845,386	535	5,527,746	15
7	CPV 71300000	საინჟინრო მომსახურებები	6,390,022	426	2,028,422	24
8	CPV 34300000	წაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის	8,412,401	347	711,221	8
9	CPV 79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	2,881,761.98	313	1,088,227.02	28
10	CPV 34100000	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები	35,351,370	265	6,191,422	15
			491,697,773	**6210**	**93,137,080**	

2011 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შემდგენაირად გადანაწილდა შესყიდვის საშუალებების მიხედვით:

გრაფიკი 16[1]



2011წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება დადებულია ჯამში 2,662,663,113 ლარზე, საიდ-ანაც 66%-ზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება განხორციელდა ე-ტენდერების მეშვეობით.

1. განსხვავება N12 გრაფიკით გათვალისწინებულ ფაქტობრივ ღირებულებასა და N16-N17 გრაფიკებით გათვალისწინებულ ე-ტენდერების ღირებულებას შორის გამოწვეულია 2010 წელს გამოცხადებული მრავალწლიანი ტენდერით, რომლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება 2011 წლის განმავლობაში გაფორმდა და ე-სისტემაში წარდგენილ ანგარიშებში აისახა.

გრაფიკი 17



გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები[2] შემდეგნაირად გადანაწილდა გამარტივებული შესყიდვის სახეობების მიხედვით:

გრაფიკი 18



2. 2011 წელს გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ეფუძნება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს

კატეგორიაში „სხვა დანარჩენი“ გაერთიანებულია: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „გ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები, როგორიცაა: ექსკლუზივი, ხარისხის გაუარესება, წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვ.

CPV კოდები

შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისათვის სახელმწიფო შესყიდვებში დაინერგა ევროკავშირის მიერ შემუშავებული შესყიდვის ობიექტთა საძიებო კატალოგი. მასში თითოეულ ობიექტს გააჩნია საიდენტიფიკაციო კოდი. კოდები იერარქიულად არის განლაგებული. სწორედ ამ კოდებისა და მათ იერარქიიდან გამომდინარეობს შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნება და მათთან დაკავშირებული მონეტარული ზღვრები.



CPV კოდების გამოყენებამ ბოლო მოუღო გაურკვევლობას შესყიდვის ობიექტთა ერთგვაროვნების თაობაზე. სიახლემ ასევე გაადვილა მონიტორინგი და შეამცირა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების ხელოვნური დაყოფის ფაქტები.

შავი სია

სააგენტო უზრუნველყოფს შავი სიის წარმოებას. შავ სიაში რეგისტრირებულ კომპანიებს ერთი წლის განმავლობაში ეკრძალებათ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. შესაბამისად, შავი სია ინტეგრირებულია სისტემაში, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ბლოკავს ტენდერში მონაწილეობისგან შავ სიაში მყოფ კომპანიას.

გრაფიკი 19

2011 წელს შავ სიაში შეყვანილი მიმწოდებელთა სტატისტიკა



შავ სიაშ მყოფი მიმწოდებლების შესახებ მონაცემები განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge

დავების საბჭო

სახელმწიფო შესყიდვებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად 2010 წლის 10 დეკემბერს შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო.

საბჭოს წევრები

- სააგენტოს წარმომადგენლები
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი

დავების სტატისტიკა

2010 წელს მხოლოდ 9 დავა იყო, მაშინ როდესაც დავების განხილვის ახალი მექანიზმის ამუშავების შედეგად 67 დავა იქნა განხილული. დავების რიცხვი 7-ჯერ გაიზარდა.

გრაფიკი 20

2010-2011 წელს შემოსული საჩივრების რაოდენობა თვეების მიხედვით



გრაფიკი 21

2011 წელს შემოსული საჩივრების შედეგები



სულ 67 შემოსული საჩივარი

საჩივრების უმრავლესობა დაკმაყოფილებულია. დავების საბჭო უზრუნველყოფს სწრაფ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს ბიზნესის სასარგებლოდ მაქსიმალურად მოკლე ვადაში. ჩვენთვის უცნობია ისეთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები უფრო სწრაფად, ეფექტურად და სამოქალაქო საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობით წყდება.

გრაფიკი 22

შემოსული საჩივრების რაოდენობა 1 მეტი CPV კატეგორიის მიხედვით



მონიტორინგი და კომუნიკაცია

2011 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შედგენილია 32 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი სატენდერო კომისიის 116 წევრის მიმართ და გადაგზავნილ იქნა სასამართლოში შემდგომი რეაგირებისათვის. სასამართლოს მიერ საჯარიმო სანქცია გამოყენებულ იქნა 81 შემთხვევაში, რის შედეგადაც შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკუთარი ჯიბიდან მოუწიათ 121 500 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდა.

მიღებული და დამუშავებულია 10 000 მდე კორესპონდენცია, გაგზავნილია 3797 წერილი/რეკომენდაცია.

სისტემის მომხმარებლების სხვადასხვა საკითხებზე ინფორმირების მიზნით e-სისტემის მეშვეობით გაგზავნილია 2 019 625 სისტემური შეტყობინება.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა და გაცემა

დაინტერესებული პირების მიმართ გაცემული საჯარო ინფორმაცია ქაღალდის სახით შეადგენს 2629 გვერდს და ხოლო ელექტრონულ მატარებლებზე ამ ინფორმაციის მოცულობა არის 8.7 გეგაბაიტი.

კონკურსი

სახელმწიფო შესყიდვების სიახლეს წარმოადგენს ტენდერების ალტერნატიული შესყიდვის საშუალება — კონკურსი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი ტიპისა თუ შინაარსის საპროექტო მომსახურების შესყიდვა. კონკურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი განთავსდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

გრაფიკი 23
კონკურსების სტატისტიკა



საზოგადოების ინტერესი e-სისტემის მიმართ

ელექტრონული შესყიდვების წარმატებას და მისდამი დიდი ინტერესის არსებობას ხაზს უსვამს სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის www.procurement.gov.ge ვიზიტორთა რაოდენობა.

გრაფიკი 24



რა შედეგი მივიღეთ

უპრეცენდოტოდ მოკლე ვადებში შეიქმნა მაქსიმალურად გამჭვირვალე შესყიდვების სისტემა და დაინერგა მარტივად აღსაქმელი პროცედურები

გაჩნდა საზოგადოების სრული ჩართულობის შესაძლებლობა როგორც სისტემის და მასში განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით (ყველა ყველაფერს ხედავს), ასევე შესყიდვების მონიტორინგის პროცესში უშუალო მონაწილეობით (სამოქალაქო სექტორის პარიტეტული წარმომადგენლობა დავების განხილვის საბჭოში)

აღმოიფხვრა ე.წ. გეოგრაფიული უთანასწორობა, როდესაც რეგიონული საწარმოები თითქმის ვერ ახერხებდნენ მათი რეგიონის გარეთ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღებას ქაღალდის ტენდერის პროცედურებისათვის დამახასიათებელი ლოგისტიკური და მონაწილეობის მაღალი ხარჯების გამო. მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო, როდესაც მსგავსი კომპანიები დედაქალაქში და სხვა რეგიონში გამოცხადებული ტენდერის მოგებას ახერხებდნენ. რეფორმის შემდეგ, სატენდერო პროცედურების გამარტივებისა და შესაბამისობის ხარჯების მინიმუმამდე დაყვანის შედეგად უკვე ათასობით შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც ერთ რეგიონში დაფუძნებული კომპანია ტენდერებს იგებს რამდენიმე სხვა რეგიონში.

სისტემის სავალდებულო ხასიათმა განაპირობა შემსყიდველი ორგანიზაციების ავტომატური „ინტერნეტიზაცია“ - ინტერნეტში ჩართვა სავალდებულო გახდა ყველა იმ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ვისთვისაც ინტერნეტში ჩართვა აქამდე აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან რეგიონებში და ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებულ დასახლებებში. იგივე უნდა ითქვას მიმწოდებლებზე - ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა ავტომატურად გულისხმობს მათ „ინტერნეტიზაციასაც“. შედეგად 10 ათასამდე შემსყიდვევლი ორგანიზაცია და მიმწოდებელი აქტიურად იყენებს ინტერნეტს არა მხოლოდ ტენდერებში მონაწილეობის მისახებად, არამედ სისტემასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების განსახორციელებლად, როგორიცაა ანგარიშების ელექტრონულად ატვირთვა ან საჩივრების ელექტრონულად წარდგენა დავების განხილვის საბჭოში.

იგივე წარმატებით სისტემამ გამოიწვია მასში დარეგისტრირებული ათასობით მიმწოდებელის გადასვლა ელექტრონული ტრანზაქციების ისეთ თანამედროვე საშუალებებზე, როგორიცაა ინტერნეტ-გადახდები და ელექტრონული გარანტიები. ელექტრონული გარანტიების დანერგვა, რომელიც უკვე ფართოდ გამოიყენება საქართველოში, სწორედ ე-სისტემის ამოქმედებამ განაპირობა.

არადისკრიმინაციული გარემო, რომელიც ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კომპანიებს შორის. სიტემაში დარეგისტრირებულია ასამდე უცხოური კომპანია, რომლებმაც უკვე რამდენიმე ათეულ ტენდერში მოიპოვეს გამარჯვება. აღსანიშნავია უკრაინული ვებგვერდი წწწ.გეოტენდერ.ცომ.უა რომელიც თითქმის სრულად თარგმნის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, მათ შორის ყველა დიდბიუჯეტიანი ტენდერის შესახებ და სთავაზობს კომპანიებს როგორც თავად უკრაინაში, ასევე რუსულენოვან ქვეყნებში.

Почему Грузия

Делая выбор в пользу поставок для грузинского госсектора, Вы выбираете:

- ***прозрачные тендерные процедуры;***

Все закупки за госсредства осуществляются через Единую электронную систему государственных закупок посредством Интернета. Информация о каждом этапе тендера, заявленных участниках, предложенных ценах и победителях открыта и общедоступна. Критерием определения победителя является предположение наиболее низкой цены.



როგორ შეგვაფასეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN)

გაეროს მიერ ორგანიზებულ საჯარო სამსახურის ყოველწლიურ შეფასებაში „საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლისა და პრევენციის“ ნომინაციაში ე-სისტემამ მოიპოვა მე-2 ადგილი 71 ქვეყნის 471 ნომინანტს შორის. (ციტატა: ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო აღიარება საჯარო სამსახურის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის)

BETTER MANAGEMENT — BETTER PUBLIC SERVICE

23 June 2012

United Nations Public Service Award 2nd Place Winner

Preventing and Combating Corruption in the Public Service Category

This certificate is given in recognition of the contribution of

State Procurement Agency of Georgia
Georgia

towards improving the effectiveness, efficiency and quality of public service.

Sha Zukang
Under-Secretary-General for Economic and Social Affairs

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარებისა ბანკი (EBRD)

BRD—ის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, 2011წ.:

„სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, დანერგილია სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი კომ-პონენტები, თუმცა, მხოლოდ საქართველოს ენიჭება შესაბამისობის მაღალი რეიტინგი, ვინაიდან საქართველომ ყველაზე უკეთ შეძლო დაეცვა და დაენერგა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდებული შესყიდვების ეფექტური ინსტრუმენტები“.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შეფასება EBRD—ის ქვეყნებში.



საერთაშორისო გამჭვირვალობა—საქართველო

„საქართველოში წარმატებით დაინერგა ელექტრონული, გამჭვირვალე სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. ძალიან კარგია, რომ მთავრობა მოქალაქეებისთვის ონლაინ რეჟიმში აქვეყნებს და ხელმისაწვდომს ხდის სხვადასხვა მონაცემებს და ხელს უწყობს ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას".

აზიის განვითარების ბანკი (ADB)

„საქართველოში დანერგილი ელექტრონული შესყიდვების სისტემა შესაძლოა კარგი მაგალითი გახდეს აზიისა და წყნარი ოკეანის სხვა ქვეყნებისთვისაც. იმ ქვეყნებისთვის, სადაც ჯერ არ არის დანერგილი ელექტრონული შესყიდვები, საქართველოში განხორციელებული რეფორმები დიდ ინტერესს იწვევს".

ევროპარლამენტი

ევროპარლამენტის საერთაშორისო ვაჭრობის კომიტეტის ანგარიშის პროექტი 2011/2306(INI): „ევროპარლამენტი მიესალმება საქართველოში ახალი შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვას; საქართველო უნდა იყოს მაგალითი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ამ სფეროში".

ჩვენი პარტნიორები

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
ქ. თბილისი, პეკინის გაზმ. N28 / (+99532) 2 148 881
პროცურემენტ.გოვ.გე / ინფო"პროცურემენტ.გოვ.გე